

შპს „TV LUX GEORGIA“

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

შპს „TV LUX GEORGIA“

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3-4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5-6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7-8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	9
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	15
4. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	19
5. ბალანსის შემდგომი მოვლენები	20

შპს TV LUX GEORGIA		შენიშვნა	12/31/2022	12/31/2021
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	1		165,532	172,752
არამატერიალური აქტივები	2		1,510	1,752
სულ გრძელვადიანი აქტივები			167,042	174,504
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	3		650,312	525,364
გაცემული სესხები	4		127,876	120,697
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5		750,620	1,132,687
ფული და ფულის ეკვივალენტები	6		32,628	322,759
სულ მიმდინარე აქტივები			1,561,436	2,101,507
სულ აქტივები			1,728,478	2,276,011
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი			-	-
დაგროვილი მოგება			1,367,720	1,956,952
სულ საკუთარი კაპიტალი			1,367,720	1,956,952
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები			-	-
ანარიცხები			-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			-	-
მიმდინარე ვალდებულებები				
მიღებული ავანსები დაუმთავრებელი პროექტებიდან	7		128,458	3,588
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8		232,300	315,471
საგადასახადო ვალდებულებები			-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები			360,758	319,059
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			1,728,478	2,276,011

*(ერთეული ლარი)

შპს TV LUX GEORGIA ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	12/31/2022	12/31/2021
--	----------	------------	------------

აქტივები

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები	1	165,532	172,752
არამატერიალური აქტივები	2	1,510	1,752
სულ გრძელვადიანი აქტივები		167,042	174,504
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	3	650,312	525,364
გაცემული სესხები	4	127,876	120,697
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	750,620	1,132,687
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	32,628	322,759
სულ მიმდინარე აქტივები		1,561,436	2,101,507
სულ აქტივები		1,728,478	2,276,011

საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები

საკუთარი კაპიტალი

კაპიტალი

დაგროვილი მოგება

სულ საკუთარი კაპიტალი

1,367,720	1,956,952
1,367,720	1,956,952

გრძელვადიანი ვალდებულებები

გრძელვადიანი სესხები

ანარიცხები

სულ გრძელვადიანი ვალდებულებები

მიმდინარე ვალდებულებები

მიღებული ავანსები დაუმთავრებელი
პროექტებიდან

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები

სულ მოკლევადიანი ვალდებულებები

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები

7	128,458	3,588
8	232,300	315,471
	-	-
	360,758	319,059
	1,728,478	2,276,011

*(ერთეული ლარი)

დირექტორი

მთ.ბუღალტერი



გიორგი მაისურაძე

ინგა ჯანაშია

Handwritten signature in blue ink.

შპს TV LUX GEORGIA სრული შემოსავლის ანგარიშგება	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	9	708,261	1,813,090
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(464,964)	(1,236,876)
საერთო მოგება		243,297	576,214
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(739,924)	(891,669)
რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები		(448)	(4,347)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		(497,075)	(319,802)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		71	4,648
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		-	(1,198)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი), ნეტო		(100,647)	(100,319)
ძირითადი საშუალების რეალიზაციით მიღებული მოგება/(ზარალი)		-	20,255
ფინანსური ხარჯი		-	-
ფინანსური შემოსავალი		8,419	13,999
მოგება დაბეგვრამდე		(589,232)	(382,417)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		(589,232)	(382,417)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		(589,232)	(382,417)

*(ერთეული ლარი)

შპს TV LUX GEORGIA		შენიშვნა	2022	2021
სრული შემოსავლის ანგარიშგება				
ამონაგები	9		708,261	1,813,090
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება			(464,964)	(1,236,876)
საერთო მოგება			243,297	576,214
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10		(739,924)	(891,669)
რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები			(448)	(4,347)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება			(497,075)	(319,802)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი			71	4,648
სხვა არასაოპერაციო ხარჯი			-	(1,198)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი), ნეტო			(100,647)	(100,319)
ძირითადი საშუალების რეალიზაციით მიღებული მოგება/(ზარალი)			-	20,255
ფინანსური ხარჯი				
ფინანსური შემოსავალი			8,419	13,999
მოგება დაბეგვრამდე			(589,232)	(382,417)
მოგების გადასახადის ხარჯი				
წმინდა მოგება/ზარალი			(589,232)	(382,417)
სხვა სრული შემოსავალი				
სულ სრული შემოსავალი			(589,232)	(382,417)

*(ერთეული ლარი)

დირექტორი გიორგი მაისურაძე

მთ.ბუღალტერი ინგა ჯანიაშვილი



გ. ჯანიაშვილი

ი. ჯანიაშვილი

**შპს TV LUX GEORGIA საკუთარი კაპიტალის
ცვლილებების ანგარიშგება**

პერიოდი	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2021	-	-	2,339,369	2,339,369
წლის წმინდა მოგება			(382,417)	(382,417)
დივიდენდი			-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	-	-	1,956,952	1,956,952
წლის წმინდა მოგება /ზარალი			(589,232)	(589,232)
დივიდენდი			-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	-	-	1,367,720	1,367,720

*(ერთეული ლარი)

შპს TV LUX GEORGIA საკუთარი კაპიტალის
ცვლილებების ანგარიშგება

პერიოდი	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2021	-	-	2,339,369	2,339,369
წლის წმინდა მოგება			(382,417)	(382,417)
დივიდენდი			-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	-	-	1,956,952	1,956,952
წლის წმინდა მოგება			(589,232)	(589,232)
დივიდენდი			-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	-	-	1,367,720	1,367,720

*(ერთეული ლარი)

დირექტორი

გიორგი მაისურაძე

გ. მაისურაძე

მთ.ბუღალტერი

ინგა ჯანიაშვილი

ინგა ჯანიაშვილი



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „TV LUX GEORGIA“ (404431021) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა ტელესაკომუნიკაციო საქმიანობა, კერძოდ ხმისა და გამოსახულების მიმღები, ჩამწერი და აღმწარმოებელი აპარატურის მონტაჟი და მომსახურება. კომპანია დაფუძნდა 2012 წლის 30 ოქტომბერს. დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებულია 2012 წლის 31 ოქტომბერს. კომპანიას ჰყავს ორი დამფუძნებელი. ოლექსანდრ შოსტაკოვსკი (უკრაინის მოქალაქე პ/ნ 3087218370) 50% და გიორგი მაისურაძე (საქართველოს მოქალაქე პ/ნ 01024039681) 50%, ეს უკანასკნელი აგრეთვე წარმოადგენს კომპანიის დირექტორს.

იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ., N57, ბ. N56

ფაქტიური მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, გივი კარტოზიას 8, კორპ 7, ბინა 3

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც

სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

2.2 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული მეხუთე ფინანსური ანგარიშგება.

2.3 ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. ამ განსჯის დროს კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის მიმდინარე მდგომარეობა და მიიღო დაშვება, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში.

2.4 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2022, 2021 წლის 31 დეკემბერსა და 2022 წლის 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
2022 წლის 1 იანვრისთვის	3.0892	3.4991
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040

2.5 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
შენობა ნაგებობები	20-30 წელი
საოფისე აღჭურვილობა	3-9 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-8 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	6-14 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.6 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 7-10 წლით.

კომპანიის არამატერიალური აქტივი წარმოადგენს სააღრიცხვო პროგრამებს.

2.7 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსური ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ

არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

2.8 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე და სხვა. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

2.9 ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულს ბანკში. კომპანიას არ გააჩნია სალარო. ფული და ფულის ექვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით.

2.10 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შემენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

საწარმო მარაგის ჩამოწერას ახორციელებს საშუალო შეწონილი შეფასების მეთოდით.

2.11 შემოსავალი

საწარმო ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისდები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა

საწარმო ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

2.12 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმომ განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, საწარმო ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საწარმო ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამოწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, საწარმო აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

შენიშვნა 1 (ძირითადი საშუალებები)

ძირითადი საშუალებები 2022, 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწა და შენობა	საოფისე აღჭურვილობა	ავტო- სხვა ინვენტარი	ავტო- ტრანსპორტი	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2021	198,510	39,626	17,343	0	255,479
შემოსვლა		9,443	2,130		11,573
გასვლა					-
ისტორიული ღირებულება 31.12.2022	198,510	49,069	19,473	-	267,052

დაგროვილი ცვეთა

დაგროვილი ცვეთა 31.12.2021	49,627	21,774	11,326	-	82,727
ცვეთა	9,925	6,739	2,129	-	18,793
გასულების დაგროვილი ცვეთა				-	
დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	59,552	28,513	13,455	-	101,520

წმინდა საბალანსო ღირებულება

წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2021	148,883	17,852	6,017	-	172,752
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2022	138,958	20,556	6,018	-	165,532

შენიშვნა 2 (არამატერიალური აქტივები)

დასაშვები ღირებულება	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
დასაშვები ღირებულება 31.12.2021	2,422	2,422
შემოსვლა	0	0
გასვლა		0
დასაშვები ღირებულება 31.12.2022	2,422	2,422
დაგროვილი ცვეთა		
დაგროვილი ცვეთა 31.12.2021	670	670
ცვეთა	242	242
დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	912	912
წმინდა საბალანსო ღირებულება		
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2021	1,752	1,752
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2022	1,510	1,510

შენიშვნა 3 (მარაგები)

მარაგები	2022	2021
სასაქონლო მატერიალური ფასეულობა	356,603	170,194
არამატერიალური ფასეულობა (ლიცენზიები)	293,709	355,170
სულ	650,312	525,364

შენიშვნა 4 (გაცემული სესხები)

გაცემული სესხები	2022	2021
გაცემული სესხი	66,134	102,891
გაცემული სესხი დაკავშირებულ მხარეზე	41,000	-
მისაღები პროცენტი	20,742	17,806
მისაღები პროცენტები დაკავშირებული მხარიდან	-	-
სულ	127,876	120,697

შენიშვნა 5 (სავაჭრო და სხვა მოთხოვნები)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2022	2021
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	642,690	1,040,669
გადახდილი ავანსები	107,930	92,018
სულ	750,620	1,132,687

შენიშვნა 6 (ფული და ფულის ეკვივალენტები)

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2022	2021
ნაღდი ფული და საბანკო ანგარიშები	32,628	322,759
სულ	32,628	322,759

შენიშვნა 7 (მიღებული ავანსები დაუმთავრებელი პროექტებიდან)

მიღებული ავანსები დაუმთავრებელი პროექტებიდან

	2022	2021
მიღებული ავანსები	128,458	3,588
სულ	128,458	3,588

შენიშვნა 8 (სავაჭრო და სხვა ვალდებულებები)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2022	2021
სავაჭრო ვალდებულებები	221,955	293,584
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	9,930	15,087
ვალდებულებები პერსონალის წინაშე	415	6,800
სულ	232,300	315,471

შენიშვნა 9 (ამონაგები)

ამონაგები	2022	2021
რეალიზაცია	462,298	1,357,468
შემოსავალი მომსახურებიდან	245,963	455,622
სულ	708,261	1,813,090

შენიშვნა 10 (საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები)

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2022	2021
შრომის ანაზღაურება	594,881	773,101
საიჯარო ქირა	23,841	26,038
დაზღვევის ხარჯები	32,796	16,418
ცვეთა და ამორტიზაცია	19,035	20,157
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	69,371	55,955
სულ	739,924	891,669

4. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან 2022 წლის მდგომარეობით ტრანზაქციები მოცემულია ქვემოთ:

	2022	2021
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	9,930	15,087
სულ	9,930	15,087

	2022	2021
გაცემული სესხი დაკავშირებულ მხარეზე	41,000	-
სულ	41,000	-

2022 წელს დაკავშირებული მხარისგან არ მომხდარა საქონლის შეძენა. წინა პერიოდში შეძენილი საქონლისთვის გადახდილია 3,717 ლარი, საკურსო სხვაობამ შეადგინა 1,440 ლარი. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო ვალდებულება შეადგენდა 15,087 ლარს, შესაბამისად ვალდებულება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 9,930 ლარს.

2022 წელს ასევე მოდხა დაკავშირებული მხარისთვის 18,5% მოკლევადიანი სესხის გაცემა, რომლის ძირიც 2022 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 41,000 ლარს და პროცენტი მთლიანად დაიფარა 2022 წლის განმავლობაში.

ხელმძღვანელ პირთა შრომის ანაზღაურება

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე
გაცემული ანაზღაურება

	2022	2021
შრომის ანაზღაურება მთლიანად	240,119	275,998
სულ	240,119	275,998

5. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ მოვლენებს:

მოგახსენებთ, რომ რადგან კომპანიის ერთ-ერთი მიზნობრივი კატეგორიაა სატუმრო ბიზნესი და 2020-2021 წლების განმავლობაში ტურიზმის სფერო სერიოზულად შეიზღუდა მსოფლიო მასშტაბით გავრცელებული ვირუსის COVID-19 (კორონავირუსი) გამო, 2022 წელს ამ კატეგორიის ბიზნესი ჯერ არ იყო მზად ინვესტიციებისთვის, შესაბამისად ამან გავლენა მოახდინა ჩვენი კომპანიის საქმიანობაზეც.

გარდა ამისა 2022 წელს დაიწყო ომი უკრაინასა და რუსეთს შორის. ჩვენს კომპანიას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა უკრაინულ კომპანიებთან, კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელი უკრაინის მოქალაქეა, ამიტომ ამ ფაქტორმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შპს "TV LUX GEORGIA"-ს საქმიანობაზე.

2022 წლის განმავლობაში შეიმჩნეოდა უცხოური ვალუტის კურსის მნიშვნელოვანი რყევები, შესაბამისად ესეც შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად.

კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მაქსიმალურად შეეცდება ამ ხელშემშლელი ფაქტორების უარყოფითი ზემოქმედება დაძლიოს და საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მიერ 2023 წლის 22 სექტემბერს